



აუდიტური ფირმა შ.პ.ს. მევავიდი

№032

06.04.2022 წ.

საფინანსო ანგარიშგების აუდიტორული შემოწმების შესახებ

აუდიტური ფირმა შ.პ.ს. „მევავიდი“-ს მიერ (ს/ნ 233119372; ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ მინიჭებული აუდიტორული ფირმის ინდივიდუალური სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-112045, აუდიტორის ინდივიდუალური სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-125365) შ.პ.ს. სამაუწყებლო კომპანია „ჭერეთი“-ს დირექტორის რამაზ სამხარაძის მომართვის საფუძველზე შემოწმებული იქნა შ.პ.ს. სამაუწყებლო კომპანია „ჭერეთი“-ს (ს/ნ 233109739) ფინანსური ანგარიშგების უტყუარობა 2021 წლის 01.01-ან – 31.12-დე პერიოდის მდგომარეობით.

საზოგადოების ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

1. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე და მის სრულად და ზუსტად წარმოდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.
2. შიდა კონტროლის განხორციელებაზე ფინანსური ანგარიშგების რაიმე თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული მნიშვნელოვანი უზუსტობების გარეშე წარდგენისთვის.

ჩვენს პასუხისმგებლობაში შედის:

1. გამოვხატოთ ჩვენი აზრი წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებთან დაკავშირებით ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე.
2. აუდიტი ჩავატაროთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ეთიკური მოთხოვნების დაცვით.
3. აუდიტი ისე დაიგეგმოს და ჩატარდეს, რომ მიღებული იქნას დასაბუთებული გარანტია იმისა, წარმოდგენილია თუ არა ფინანსური ანგარიშგება რაიმე მნიშვნელოვანი უზუსტობების გარეშე.

აუდიტი ითვალისწინებს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებით შენიშვნებზე აუდიტორული მტკიცებულობების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები ეფუძნება აუდიტორის პროფესიულ მსჯელობას, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად გამოწვეული არსებითი უზუსტობების რისკის შეფასებას.

აღნიშნული რისკის შეფასებისას აუდიტორი ითვალისწინებს, შესაფერია თუ არა ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისთვის, რომლის საფუძველზე აუდიტორი გეგმავს შესაბამის აუდიტორულ პროცედურებს. აუდიტი ასევე გულისხმობს ფინანსურ ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკასა და სააღრიცხვო შეფასებების სისწორის შეფასებას და მთლიანად წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების შეფასებას.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულობები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ, აუდიტორულ დასკვნისთვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

ზოგადი ინფორმაცია:

შ.პ.ს. სამაუწყებლო კომპანია „ჭერეთი“ . ს/კ 233109739;

საზოგადოების იურიდიული მისამართია;

საქართველო. ლაგოდეხი კოსტავას ქ. №14.

საქმიანობა, საქმიანობა რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სფეროში, რადიომაუწყებლობა.

დამფუძნებლები: რამაზი სამხარაძე. პ/ნ 01003000985.

საბანკო ანგარიში: საქართველოს ბანკი - GE 18 BG 0000000343819702GEL

წარმოდგენილი ბუღალტრული დოკუმენტაციის, ფინანსური გაანგარიშებების და სხვა დასაბუთებული მონაცემების მიხედვით 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაფიქსირდა ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად შემდეგი მაჩვენებლები;

№	მაჩვენებლის დასახელება	ფაქტიური შესრულება ლარი
1	2	3
1	შემოსავლები	136550
2	გამოქვითვები	153793
3	სხვაობა	-17243
4	გრძელვადიანი აქტივები	26030

დასკვნა:

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშო პერიოდის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

დირექტორი:  /მ. ტაბატაძე/

აუდიტი:  /ა. ლობჯანიძე/

